საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7314
30/11/2022

7314-21-2-202211301706

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6010 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. სადახლოში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. დებედას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების გრაფიკულ ნაწილში მოცემული კალაპოტის წარეცხვის სიღრმე არ შეესაბამება პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში წარმოდგენილ წარეცხვის სიღრმეს. ამასთან, საპროექტო ნაგებობა მდებარეობს კალაპოტის მოხვეულ უბანზე, რაც ასახული უნდა იყოს კალაპოტის წარეცხვის სიღრმის განსაზღვრის დროს;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატები (X-485685.09 Y-4564190.46) არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დროებითი დამბის სამშენებლო სამუშაოების და პარამეტრების შესახებ ინფორმაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო